საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 115

ქ. ბათუმი 15 დეკემბერი, 2016 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№10, 03.11.2016) ამონაწერისა და „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N113 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დარგობრივ დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 2016 წლის დეკემბერში გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევა.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსის ველში) და გაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს.
3. დადგენილება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**